საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N361 2019 წლის 12 სექტემბერი ქ. თბილისი

ქ. ჟენევაში ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ 79-ე სესიის ფარგლებში დაგეგმილი ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმისა და შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმის შესრულების თაობაზე საქართველოს პირველადი ანგარიშების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

1. დამტკიცდეს 2019 წლის 17 სექტემბერს ქ. ჟენევაში ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ 79-ე სესიის ფარგლებში ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმისა და შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმის შესრულების თაობაზე საქართველოს პირველადი ანგარიშების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სამთავრობო დელეგაციის (შემდგომში – დელეგაცია) თანდართული შემადგენლობა.

2. ეთხოვოთ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისა და სსიპ – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმომადგენელს დელეგაციაში მონაწილეობის მიღება.

3. დელეგაციის წევრთა მივლინების ხარჯები აანაზღაურონ შესაბამისმა უწყებებმა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2019 წლის 16 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

გიორგი გახარია

დამტკიცებულია
საქართველოს პრემიერ-მინისტრის
2019 წლის 12 სექტემბრის
№ 367 ბრძანებით

ქ. ჟენევაში ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ 79-ე სესიის ფარგლებში დაგეგმილი ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმისა და შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმის შესრულების თაობაზე საქართველოს პირველადი ანგარიშების განხილვაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობა

1. **ხათუნა თოთლაძე** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე – დელეგაციის ხელმძღვანელი (2019 წლის 16 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით).

2. **ლელა ჩიქოვანი** – საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე (2019 წლის 16 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით).

3. **თამილა ბარკალაია** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე (2019 წლის 16 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით).

4. **სოფიო კილაძე** – საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე (2019 წლის 16 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით).

5. **ნატალია ჯალიაშვილი** – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს (სამსახურის) უფროსი (2019 წლის 16 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით).

6. **ბაჩა მგელაძე** – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის (დეპარტამენტის) უფროსის მოადგილე (2019 წლის 16 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით).

7. **ირინე ბართაია** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის დირექტორი (2019 წლის 16 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით).

8. **ქეთევან სარაჯიშვილი** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი (2019 წლის 16 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით).

9. **კახა ხანდოლიშვილი** – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი (2019 წლის 16 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით).

10. **მაკა ფერაძე** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე (2019 წლის 16 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით).

11. **ვიქტორია ბაიკოვა** – შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის პოლიტიკის ანალიზის, დაგეგმვის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (2019 წლის 16 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით).

12. **ზურაბ აზნაურაშვილი** – სსიპ – იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორის მოადგილე (2019 წლის 16 სექტემბრიდან 18 სექტემბრის ჩათვლით).